ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/13115104-16 13. 05. 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, შანდორ პეტეფის ქუჩაზე ვაზისუბნის დასახლება კორპ. №13-ის მიმდებარედ, (ნაკვ.2/66)/ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, შანდორ პეტეფისა ქუჩისა და 19ა კორპუსის მიმდებარედ, ნაკვეთი 02/166, (საკ.კოდი №01.17.10.002.176) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტოგასამართი სადგური და გაზგასამართი სადგური (კომპლექსი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №636616 11.04.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, შანდორ პეტეფის ქუჩაზე ვაზისუბნის დასახლება კორპ. №13-ის მიმდებარედ, (ნაკვ.2/66)/ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, შანდორ პეტეფისა ქუჩისა და 19ა კორპუსის მიმდებარედ, ნაკვეთი 02/166, (საკ.კოდი №01.17.10.002.176) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

<u>ავტოგასამართი ფარდული:</u>

სვეტები მოპირკეთებულია ალკაბონდით, რის გამოც შეცვლილია აღნიშნული სვეტების ფორმა. შეცვლილია სვეტების ძირები. სვეტებთან გაზრდილია ბაქნების სიგრძე 1.0 მ.-ით. სვეტებზე დამატებულია ვერტიკალური წითელი ხაზები. ა-ე და ე-ა ფასადებზე +5.70 ნიშნულის ქვევით გადაადგილებულია სარეკლამო წარწერები. "3-4" მონაკვეთში სვეტებს შორის შეცვლილია საინფორმაციო ტაბლო.

<u>საოპერატორო, მოსაცდელი:</u>

ბ-დ და 1-2 მონაკვეთებში გაზრდილია ვიტრაჟების სიმაღლე 25 სმ.-ით. უკანა მხარეს დ-ბ მონაკვეთში კედელი დამატებით მოპირკეთებულია ალკაბონდით. "ბ-ბ" ღერძთან განთავსებული წყალმიმღები მილი შეფუთულია ალკაბონდით. 2-1 მონაკვეთში შეცვლილია ორი კარის ნახატი.

<u>საკომპრესოროს და დამხმარე სათავსოს შენობა:</u>

წინა მხარეს 5-7 მონაკვეთში შეცვლილია ორი კარის ნახატი (კარში დამატებულია გამწოვები). უკანა მხარეს დამატებულია ლითონის მილები. გვერდით მხარეს ზ-ვ მონაკვეთში შეცვლილია ფრამუგის ნახატი და ფრამუგაში განთავსებულია გამწოვი. ვ-ზ მონაკვეთში პარაპეტი არ არის მოპირკეთებული წითელი ფერის ლითონის ფურცელით.

რენდერის მიხედვით შეცვლილია ფასების მაჩვენებელი აბრის იერსახე.
ტერიტორიაზე განთავსებულია დანადგარი და შემცირებულია გამწვანების ზონა. ასევე არ არის მოწყობილი პროექტში ნაჩვენები წყლის რეზერვუარი. დამხმარე ობიექტის შემომსაზღვრელი კედელი გადაადგილებულია. ტერიტორიაზე განთავსებულია მეხსაქრიდი. შეცვლილია ღობის კედლების სიმაღლეები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს

მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №13-62 23.12.2011წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „გეოგაზი“-ს, დიმიტრი კახურაშვილს ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, შანდორ პეტეფის ქუჩაზე ვაზისუბნის დასახლება კორპ. №13-ის მიმდებარედ, (ნაკვ.2/66)/ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, შანდორ პეტეფის ქუჩისა და 19ა კორპუსის მიმდებარედ, ნაკვეთი 02/166, (საკ.კოდი №01.17.10.002.176) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტოგასამართი სადგური და გაზგასამართი სადგური (კომპლექსი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/13115104-16 07.05.2013წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. მუჯირიშვილი**